წელიწადი 1-ლი ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. ოთხშაბათი დეკემბრის 13 (26) 1917

ჩვენი ქვეყანა

	ფასი
თვიურათ	3
ოთხი თვით	1
ცალკე ნუმერი	3

	ფასი
	1
	3

	5

	8

	1

	10

	1

ვნის შესახებ. დეკრეტით სეკრეტარიატის წევრები კონტრ-რევოლუციონერებად გამოცხადდებიან. კრილენკო შეეკითხა საბალხო კომიტეტებს, თანახმანი ხართ თუ არა, რომ რაღის წინაღმდეგ გამოვიდეთო.

უკრაინისადმი ომის გამოცხადება მეტად აშინებს საკავკასო-სამხედროელთ ჯრუტებს. პეტროგრადს მოაკლდება დონეცის ნახშირი, კიევის შაქარი, ჩერკასკის ხორცი, პური და ბაკოს ნავთი.

როგორც ხმობენ ცენტრალ ალხელმწიფონი ერთი თვით გამორკვევის საკითხს არ განიხილავენ ევრაზის საზავო კონფერენციაზე, რადგან ამ საკითხს თვითეული ახელმწიფოს საკითხად სთვლიან.

საქართველო და ზავი

ზავი ყველას გვწყურია, მაგრამ ზავი სამართლიანი და ხანგრძლივი. სხვაზე ნაკლებ არც ჩვენ, ქართველები, ვართ დაინტერესებული ზავით. ჩვენი საშობლოს ბედი და იღბალი და მისი ტერიტორიის შემოფარგვლა ეკვს გარეშეა ისე თუ ისე დამოკიდებული არის ზავის კითხვასთან. რუსეთის მოსაზღვრე ახელმწიფოები ყველა თავისაკენ მიიზიან დანაწილებულ რუსეთის ტერიტორიას. ჩდილოეთით შვეციამ წამოპყო ყურები, აღმოსავლეთით-ჩინეთ-იაპონიამ და სამხრეთით „დაუძლურებულმა“ ოსმალეთმა. ამ ახელმწიფოებში, ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო და შეიძლება, საბედისწერო, ხონარქრის მოობოვნილება არის. გაზეთების გადმოცემით ხონარქრის სურს ჩვენი საშობლოს საუკეთესო ნაწილი-ბათომის მხარე-შეიერთოს ანექსიით და მითი თავის საფლობელთ გაიფართოოს. ეს უბედურობა რომ მართლა თავზე დაგვატყდეს. ჩვენს წელში გამართვას ბედღეშში თუ ერა, კაი ხნობით მაინც აღარაფერი ეშველება. გარდა ამისა, რომ ჩვენ ჩამოგვშორდება ჩვენი ღვიძლი ძმები ლაზები და აჭარლები, ჩვენ დაკარგავთ საუკეთესო ნავთსადგურებს შავ ზღვაზე, რომელი გარემოებაც ჩვენ იძულებულ გვყოფს პირდაპირი კავშირი შეეწყვეტოთ განათლებულ ევროპასთან. ქართველი ერის თავმოყვარობამ და არსებითი ინტერესებმა ეს ვერ უნდა მოითმინოს. სიფრთხე თვალის წინ გვიდგია და სიფხიზლე გვმართებს. არასოდეს საქართველოს სიმები ისე დაუძაბული არ ყოფილა, როგორც დღეს არის. გაერთიანებული ქართველი ერის ავტორიტეტულ ხმას უცდის სამშობლო.

მ. ბუაჩიძე

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

მეორე პარტიული კონფერენცია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარმა კომიტეტმა 10 ღეკემბერის სხდომაზე დაადგინა: საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის დაუყოვნებელივ შეუდგეს პარტიის მეორე კონფერენციის მოწვევის სამზადისს, ხოლო ამ ყრილობის მოსაწვევ ინსტრუქციისა და წესრიგის დამტკიცება აგრეთვე განხილოს პარტიის მორიგ მნიშვნელოვან საორგანიზაციო და ტაქტიკის კითხვათა (სპერობო არჩევნებისა და სხ.) მიენდოს პარტიის კომიტეტთა თათბირს. დღე ხსენებულ თათბირისა, რომელიც არა უგვიანეს დეკემბრის დამლევს უნდა იქმნეს მოწვეული და წესრიგი ცალეკე იქნება გამოცხადებული გაზეთ „საქართველოში“ და „ჩვენს ქვეყანა“-ში.

✦ **ბოლშევიკების გამარჯვება როსტოვში.** მოვიდა ცნობა, რომ კალედინი და ყარიოლოვი გადადგენო და გამარჯვება ბოლშევიკებმა დარჩენესო.

✦ **ლენინის დეპეშა.** გუბერნიის კომისარს ბ-ნ რგ. გიორგაძეს ლენინი დეპეშით აუწყებს, რომ დეკემბრის ხუთიდან ფოსტა ტელეგრაფის ყველა მოსამსახურეთ ჯამაგირი ემატებათ.

✦ **საერობო კომისიაში.** საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის საგუბერნო კომიტეტის მრით სამაზრო საერობო კომისიაში წარმომადგენლად დანშულია **ბ.—ნი ვასილ წერეთელი.**

✦ **საერობო არჩევნები** ადგილობრივ საერობო კომისიას გადაწყვეტილი აქვს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს საერობო არჩევნების მოხდენას. ადგილობრივი კომისია არ დაუცდის იმ საერობო საარჩევნო დებულებას, რომელსაც ამიერ კავკასიის დროებითი რესპუბლიკური მმართველობა იმზადებს.

✦ **სამოსწავლო ოლქში.** რადგან პეტერბურგთან ყოველგვარი დამოკიდებულება გასწყდა და ამიტომ ფულით რახმარებას ცენტრიდან არ უნდა მოველოდეთ სამოსწავლო კომისარიატი შეუდგა მოსაზრებათა და ჰოხსენებათა შედგენას რათა დეკემბერში კრედიტის წყარო გამონახოს მრავალ ხარჯებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საერთო თანხა საპერო ფულისა უდრის 15 მილიონ მანეთს. კომისარიატის შემდგენლობამ ამ კითხვების გამო მოელაპარაკა ფინანსების კომისარს კარჩაიანს, რომელმაც სრული დახმარება აღუთქვა მათ.

✦ **რკინის გზაზე მოძრაობა,** თანახმად როსტოვიდან მოსულ ცნობებისა, 8 დეკემბრიდან განახლდა პირდაპირი მატარებლების მიმოსვლა კავკასიის რკინის გზაზე ბაქოდან ბატიანამდე გროზნასა და მოზდოკის მიმართულებით.

✦ **ოქროს მანეთიანები.** სატატო გაზეთებიდან ეტყობილობთ, რომ ამ ბოლო ხანებში პეტერბურგში იუველირები და სათანადო კანტორები აფრაცხელ ოქროს ფულს აწედიან სახოგადოებას-თუ ოქროს მანეთიანის სახით თუ ოქროს იმპერიალებისა და ნახევარ იმპერიალების სახით იმპერიალი, ღირებული ჩვეულებრივ დროს თუმნად, 75 მანეთად იყიდება, ხოლო ნახევარ იმპერიალები 6 მანეთად ღირებული, 40 მანეთად იყიდება. ამის გამო სატატო ქალაქის ოქრო მეფდლები აღნიშნავენ, რომ აქამდის არასოდეს ყოფილა ასეთი მოზდავება ოქროს ფულისა.

✦ **სომეხთა ეროვნული ყრილობა.** სომხების ეროვნულმა საბჭომ დაადგინა, რომ 15 დეკემბრისათვის მოიწვიოს სომხების ეროვნული ყრილობა.

✦ **სალამო.** მოკლე ხანში „სინათლის“ სასწავლებლის და ქალთა დამხმარე კომიტეტი მოაწყობს დიდ ტრადიციულ საღამოს „სინათლის“ სკოლის სასარგებლოდ.

✦ **ქურდობა** დეკემბრის 11-ს ივანოვის ქუჩაზე გაქურდეს ვასილ გარსეკაძე.

✦ **კრებები.** ყორეს დეკემბრის 17-ს დილის 11 საათზე წმ. ნინოს სასწავლებლის შენობის დარბაზში დანიშნული დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კრება.

✦ დეკემბრის 15-ს მოხდება საგუბერნო სასურსათო კომიტეტის კრება.

✦ **შეშა.** საგუბერნო სასურსათო კომიტეტმა 10 და 11 დეკემბერს მიიღო 15 ვაგონი შეშა.

✦ **ქალაქის თავი.** ბ-ნი კალანდარაშვილი თბილისიდან ქუთაისს დაბრუნდა.

✦ **პური ფქვილი.** დეკემბრის 12-ს საგუბერნოს სასურსათო კომიტეტმა მიიღო ორი ვაგონი პური ფქვილი.

✦ **ქუჩის ძაღლები.** რედაქციაში ხშირად შემოდიან მოქალაქენი და დაბეჯითებით გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რათა ვისგანაც ჯერ აოს, ყურადღება იქნეს მიქცეული იმ გარემოებაზე, რომ ღამდამობით ქუჩაზე სიარული პირდაპირ შეუძლებელია, რადგან ძაღლებით არის მფენილი და გამვლელ გამოვლელს კმენენ და ასანაჩრებენ. საჭიროა ზომები იქნას მიღებული.

✦ **მოწაფეთა საყურადღებოდ.** ოთხშაბათს 13 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე, კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია, ქუთაისში არსებულ ყველა სასწავლებლის მე—8 კლასის მოწაფეთა კრება. რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს კრება მაინც კანონიერად ჩაითვლება. რასაც აუწყებს ამბანაგებს დროებითი პრეზიდიუმი.

ზერილი თბილისიდან.

(საკუთარი კორესპოდენტისაგან.)

I. კავშირი თუ სეპარატიზმი.

გაზეთებიდან მოგეხსენებთ, რომ გიორგობისთვის 30-ს თბილისში დანიშნული იყო კავკასიის ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობა. ამ რევოლუციის ხანებში კავკასიის ქალაქთა წარმომადგენელები პირველად არ იკრიბებენ საქართველოს დედა ქალაქში ამიერ-კავკასიის ცენტრში. ეს ყრილობა მეექვსე ყრილობაა. მიზანი ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობისა ყოველთვის ერთი და იგივე იყო ბამოძებნა მუშაობის საერთო პლატფორმისა ჩრდილო და ამიერ კავკასიისათვის. განხეთქილებამაც ამ ნიადაგზე ინინა თავი და საკითხი მარტივად დაისვა: — კავშირი თუ სეპარატიზმი.

ისტორიის ფურცლებიდან გენახსოვრებთ, რომ ჩრდილო კავკასია ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ადმინისტრაციამ დაუმორჩილა. რუსეთის ცენტრალი მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო, რომ პოლიტიკურ მმართველობის ცენტრი განაპირა-თბილისში ყოფილიყო იმპერიალისტური „მიზნების“ განხორციელება ამ შემთხვევაში უფრო ადვილი იყო... მაგრამ დაიღუბა რევოლუციის ზვირთებში ცენტრალი მთავრობა და ხელ ახლად დასვა ჩრდილო და ამიერ კავკასიის საკითხი.

...ჩრდილო კავკასიის ქალაქთა კავშირმა ამ წლის ენკენისთვეში (როდესაც თბილისში იმართებოდა კავკასიის ქალაქთა ყრილობა) პირდაპირ ეერიში მოიტანა ამიერ კავკასიის ქალაქთა კავშირზე. თბილისის ქალაქთა ყრილობაზე ჩრდილო კავკასიის ქალაქებიდან არც ერთი დელეგატი არ ჩამოსულა. სამაგიეროდ ჩრდილო კავკასიის ქალაქებმა დემონსტრაციულად ეკატერინოდარში მოახდინეს ჩრდილო კავკასიის ქალაქთა ყრილობა. ერთი სიტყვით ენკენისთვეში ჩრდილო კავკასიამ ამიერ კავკასიის მმართველობა სეპარატიული ნაბიჯი გადადგა... ამ ორ მეზობელ კუთხეების დამოკიდებულება არც შემდეგ გაუმჯობესებულა და საკითხი გადაუჭრელი დარჩა. როგორც ვიცით, ამ ორ უკანასკნელ თვეში მდგომარეობა საესებით შეიცვალა. მთლიანობა ვერც ჩრდილო კავკასიამ დაიცვა და იქ დაარსდენ ფედერატიული ერთეულები, როგორც მაკალიათად, ყუბანის, თერგის, დაღეთის და მთიულთა ფედერაციები. ამიერ კავკასიის კომისარიატმა ამ ახლად დაარსებულ ფედერაციების მმართველობას რადიო—დეპეშით სთხოვა, რომ კავშირი იქონონ ამიერ-კავკასიის კომისარიატთან. ამ რადიო დეპეშის შედეგი ჩვენ ჯერაც არ ვიცით. უეჭველია, რომ ამ მეექვსე ქალაქთა ყრილობაზე ჩრდილო კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლები პირნათლად გამოცხადდებიან და საჯაროდ გადასწყვეტენ ამ საკითხს:

— კავშირი თუ სეპარატიზმი! ..

II. ჯარის მოლოდინში

ქალაქის გამგეობამ თბილისის მცხოვრებლებს ახალი სიურპრიზი აუწყა საგანგებო მოწოდებით. აუწყა, რომ მოკლე ხანში კავკასიის ფრონტიდან თბილისში აუარებელი ჯარი მოვა თან მცხოვრებლს ურჩევს, რომ სტუმარ-მოყვრობით შეხვდენ მაუოლისათვის თავ-განწირულ ძმებს და ამბებს და ყოველივე მოსალოდნელ ექსცესებს მოერიდონ.

როდესაც ამიერ-კავკასიის მიავრობამ დემოკრატიულ ორგანოებთან ერთად შეთანხმებით დროებითი ზავი ჩამოადგა ოსმალეთის კავკასიის ფრონტზედ მომქმედ ჯართან, მაშინვე აშკარა გახდა რომ საზამთროდ ჯარი გაყენულ სანგრებში აღარ გაჩერდებოდა და დასაზამთრებათ კავკასიის სხვადასხვა ქალაქებს მოაშურებდა. თბილისს კი, როგორც ცენტრს-ყველაზე უფრო მეტი სტუმარი ეყოლებოდა. და ეს მოლოდინი საესებით გამართლდა. გუშინ თფილისში დაბრუნდა ყარსის პოლკი და ამ დღეებში ელოდ ელიან სამ დივიზიას. ამას გარდა თბილისში ამ ქამად იმყოფებიან ქართული პოლკი, სომხური რაზმი, 218 ბათალიონი და ორი ციმბირის ბათალიონი. ამათ მიუმატეთ მოსული და მოსასვლელი სამხედრო ნაწილები და საერთო ჯამი ჯარის-კაცებისა 200,000 ადამიანს გადაეპარებეს.

მტკიცება არ უნდა მგონი იმ მოვლენას, რომ ჯარის-კაცების დაბანაკება თბილისში უპურობის კრიზისს გაადლიერებს და, ისედაც ბეჭეგრეულ თბილისის მცხოვრებლებს, საესებით დაეკვეთებს მატერიალურად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. როგორც ხმები დადის თბილისის მცხოვრელებთა შორის, ამ მოსულ და მოსასვლელ სამხედრო ნაწილების ყვებაზე საამხედრო საინტენდანტო დაწესებულება ხელებს დაიბანს და მათ ჯარების სვეტებს ქალაქის სასურსათო კომიტეტს გადასცემს.

ეს კი ისეთი არა ჩვეულებრივი ტვირთი იქნება თბილისის მცხოვრებთათვის რომ, მეშინია, საბედისწერო არ შეიქნეს. ეს ერთი. ისიც აღსანიშნაია, რომ თბილისში ამ ქამად ბინების დიდი კრიზისია. სულ უბრალო-პაჭია ოთახი 100-200 მ.-დე ფასობს. იბადება ბუნებრივი კითხვასდ უნდა მთთავსდეს ეს ურიცხვი ჯარი. ამბობენ, რომ ლაზარეთებს და გოსპიტლებს გაიყენებენ და იქ მოათავსებენ ჩამოსულ ჯარსო, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ 1915 წელში, როდესაც დიდი ბრძოლები იყო, თბილისის ყველა ლაზარეთებში და გოსპიტლებში მხოლოდ 20,000 კაკის მოთავსდება. დღეს კი რიცხვი ერთი ათათ იზრდება. ეჭეველია, რომ ეს გარემოებაც თბილისის მცხოვრებს დაეწვებათ კისერზე. ესეც ხომ მეორე.

დღეს ჯარის მასა უბრალო პარტიულ სათამაშო იარაღად გადაქცეულა. მეშინია, როგორც თბილისის მცხოვრებს და საქართველოს მამულიშვილს, რომ თბილისი მხეგრძელი არ გახდეს პარტიული ენკლობისა. ამიტომ უმჯობესია, რომ თბილისისაკენ მომავალი ჯარი ჩრდილო კავკასისკენ იქნეს გამგზავრებული. როგორც ეიცით. ჩრდილო კავკასიაში სურსათიც საკმაოა და ბინებიც გაცილებით უფრო მეტი იქნება, ვიდრე თბილისში. რაც შეეხება თბილისს და საქართველოს, ნ. ბარათაშვილის არ იყოს „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა შვი დობა ნახოს საქართველომა.“

მ. საირხელი.

ანგარიში

25 ნოემბერს 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ გამართულ საღამოსა.

შემოსავალი.

1.	დარბაზში შესასვლელ ბილეთებიდან	1916	მ. —
2.	პროგრამებიდან	283	„ 55 კ.
3.	აუკციონიდან:		
	კალათი ყვავილებით და ყეფონით	2600	„ —
	ბოთლი შამპანური	1000	„ —
	სერპანტინი (ეტეონიანი სტეგი სარეკლად)	550	„ —
	შალი	200	„ —
	შუშის დიდი ბუთი	110	„ —
4.	ვახშამი, დეკანი და ასვახშო ადგილები	5430	„ 54 „
5.	ყვავილები და ბანტები	424	„ —
6.	ჩაის სტოლიდან	79	„ —
7.	სპირკა და პაპიროსი	154	„ —
8.	ტელეგრაფიდან	275	„ 54 „
9.	ურემიდან	105	„ 95 „
10.	თაბახი (ალ. ყალამეგიშვილის შეგრავილი)	183	„ —
11.	შეწვრილმანე (ალ. ...ბიძისაგან)	90	„ —
12.	ხალვისაგან	146	„ —
13.	წვრილმანი	37	„ 50 „
14.	კარტის სტოლებიდან:		
	შეკრებილი ვ. ქებაძის მიერ	115	„ —
	დ. ჩიკვაიძის მიერ	80	„ —
	ი. ჭოტოლაძის მიერ	40	„ —
	ნ. ქვარიანის მიერ	15	„ —
15.	შემოსწირეს ფულად:		
	1. ბათომის ეროვ.-დემ. პარტ. კომიტეტისაგან	300	„ —
	2. თერჯოლის „ „ „ „ ბიეროსაგან	15	„ —
	3. გ. გ. გიგინეიშვილისაგან (ბათომიდან)	120	„ —
	4. მარ. ბაუკანიძის მიერ შეკრებილი:		
	ნ. ბარაბაძე, კ. მელაშვილი, ძმ. ბაკანიძეები, ს. კალანდარაშვილი და მ. გვარჯილაძე	90	„ —
	5. მ. ფეიქრიოვისაგან	50	„ —
	6. ბახტაძისაგან	18	„ —
	7. ქ. ბაბადოლოლისაგან	15	„ —
	8. მ. ანანოვისაგან	50	„ —
	9. ვ. ტერ გრიგორიანცისაგან	10	„ —
	10. მ. ბუაჩიძისაგან	2	„ —
	11. უგ. კნ. ნ. ბაგრატიონისაგან	40	„ —
	12. უგ. თ. ფ. ბაგრატიონისაგან	20	„ —
	თ. მაკავარიანისა და კ. ჩიკვაიძის შეკრებილი:		
	13. ალ. საყვარელიძისაგან	30	„ —
	14. ვ. ახვლედიანისაგან	20	„ —
	15. მ. ფეკქიძისაგან	10	„ —
	16. დ. მოწონელიძესაგან	10	„ —
	17. გვეჩია და ჭინტურიძისაგან	10	„ —
	18. ყუფარაძე და ამბ.	10	„ —
	19. ივ. პუროდაშვილისაგან	10	„ —
	20. №	5	„ —
	21. მ. ბაკანიძისაგან	10	„ —
	22. ს. ლაკეკანიძისაგან	5	„ —
	23. გ. ნარიმანოვისაგან	15	„ —
	24. ნ. ჯანელიძისაგან	10	„ —
	25. ა. მხეიძისაგან	5	„ —
	26. ძმ. ეფორელიძე	10	„ —
	27. ... შვილი	10	„ —
	28. ... შვილი	10	„ —
	29. ... ბოკერია	10	„ —
	30. ... ხეჩატარიშვილი	10	„ —
	31. ... ბახტაძე	10	„ —
	32. ...	10	„ —
	33. ...	10	„ —
	34. ...	10	„ —
	35. ...	10	„ —
	36. ... ნარსია	10	„ —
	37. ... ქასუმოვ	5	„ —
	38. ... სვანიშვილი	5	„ —
	39. ... ჩინჩალაძე	5	„ —
	40. ... ლორთქიფანიძე	3	„ —
	41. ... მურალოვი	10	„ —
	42. ... ბაკოვე